აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№55 (25.079) სამშაბათი, 30 - 31 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 16 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ მთავრობის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს გა-

ნკარგულება, რომლის მიხედვით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ 133 ოჯახს, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში საკუთრებაში გადაეცემა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული 160 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მათზე განთავსებული საცხოვრებელი ფართებით.

* * *

მთავრობის გადაწყვეტილებით, „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ ამოქმედდება. პროგრამის მიზანი მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაღალმთიან რეგიონებსა და დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებაა. თანადაფინანსება ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე შეადგენს არანაკლებ 30000 ლარს და არაუმეტეს 100000 ლარს, მაგრამ არაუმეტეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 50%-ს.

* * *

„ნაციონალური მოძრაობა“ ყოფილი თანაგუნდელების - ხატია დეკანოიძისა და რომან გოცირიძის საკანონმდებლო წინადადებას მხარს არ უჭერს. უფრაქციო დეპუტატებმა რეგლამენტში ცვლილებების პროექტი მოამზადეს, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური ჯგუფის შექმნის შესაძლებლობა ორ დეპუტატს აქვს. „თუ პოლიტიკური ჯგუფები შეიქმნა, „ნაციონალური მოძრაობა“ ისედაც დაშლის პირასაა და არ არის გამორიცხული, რომ პარტიაში მიმდინარე პროცესებმა ფრაქციაში გადმოინაცვლოს და პარტიის დაშლას მოჰყვეს ფრაქციის დაშლაც“, - განაცხადა რომან გოცირიძემ.

* * *

2 წლის წინ ჩვენ ვთქვით, რომ ვერთიანდებით საქართველოსთვის, არავის წინააღმდეგ, - განაცხადა პარტია „საქართველოსთვის“ დაფუძნების 2 წლისთავზე გიორგი გახარიამ. მისივე თქმით, დღეს ერთიანდებიან საქართველოსთვის და ყველას წინააღმდეგ, ვინც ქვეყნის ევროპულ, თავისუფალ, ერთიან მომავალს უქმნის საფრთხეს.

მოამზადა
ია შველიძემ

დეპუტატებმა 2022 წლის შესრულებული ბიუჯეტი დაამტკიცეს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

გუშინ აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 4 საკითხი განიხილეს და დაამტკიცეს

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარადგინა. მინისტრის განცხადებით, ბიუჯეტის შემოსავლები 106,8 პროცენტით შესრულდა, შემოსავლების გეგმა 362 809 700 ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 387 391 200 ლარი შეადგინა.

ანგარიშთან დაკავშირებით თანამოხსენებებით წარსდგნენ აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კახაბერ კირტავა და უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე.

- მიუხედავად გამოწვევებისა, 2022 წელი იყო წარმატებული და ეკონომიკური თვალსაზრისით - აქტიური. მინდა აღვნიშნო, რომ გასულ წელს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა. გაზრდილი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ინვესტორების და ტურიზმის თვალსაზრისით გავუსწორდით 2019 წლის მონაცემებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აისახა ბიუჯეტის პარამეტრებზე, საშემოსავლო გადასახადების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 377 მილიონი ლარი შეადგინა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ არც ერთი შეჩერებული პროექტი არ გვქონია. დაფინანსდა ყველა პროექტი, რომელიც დაგეგმილი იყო წლის დასაწყისში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის პროექტები, როგორიცაა კომუნალური თუ საგზაო ინფრასტრუქტურის, ახალი სკოლების, ახალი ბაღების მშენებლობა. 2022 წელს ინტენსიურად მიმდინარეობდა ეგრეთ წოდებული ოცნების ქალაქის მშენებლობა, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის პროექტი სოციალური თუ ჯანდაცვის მიმართულებებით. წარმატებული წელი იყო სპორტულ და კულტურის სფეროშიც. ჩვენ დავაფინანსეთ სხვადასხვა ტიპის ღონისძიება. გასულ წელს დაიწყო 17 სკოლის რეაბილიტაცია, შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო პროექტების განხორციელება, - გვითხრა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2022 წელს ტურიზმის აღდგენის დინამიკა რეგიონში უპრეცედენტო იყო. აჭარაში დაახლოებით 4 მილიონი ვიზიტი განხორციელდა. დასრულდა კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენ-

ებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, დეპარტამენტმა მონაწილეობა 16 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო. დაგეგმილია მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების „World Travel Awards“ 2023 წლის გალა ცერემონიის ორგანიზება.

2022 წელს დასრულდა 13 გზის (22.28 კმ) და მიმდინარეობს 11 გზის (27.52 კმ) ასფალტ-ბეტონის საფარის, 164 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები.

2022 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კახაბერ კირტავამ შეაფასა. „შემოსულობების ნაწილი ძირითადად შესრულებულია 91 პროცენტით, ხოლო გადასახდელების ნაწილი შესრულებულია 82 პროცენტით. გავეცით გარკვეული რეკომენდაციები, რომელიც შეეხება დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს - თანხების თანაბარზომიერ ხარჯვას, ასევე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს -ს. ასეთი 36 საწარმოდან ძირითადი დივიდენდი, გადამხდელი არის მხოლოდ 3 საწარმო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარკვეულწილად, ცალკეულ მუნიციპალიტეტებს ათვისების მაჩვენებელი აქვთ დაბალი. ჩვენ ამ საკითხზეც გავეცით რეკომენდაცია“. აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომას 13 დეპუტატი ესწრებოდა. 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას მხარი 12-მა დეპუტატმა დაუჭირა, რის შემდეგაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, გამარტივებული წესით, მისმა ერთ-ერთმა ინიციატორმა, უმაღლესი საბჭოს წევრმა დავით გაბაიძემ წარმოადგინა. ცვლილება ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციითაა განპირობებული და ნორმატიული აქტების მომზადებისას გენდერული გავლენის შეფასების აღწერის ვალდებულებას ითვალისწინებს. კანონის პროექტი ერთხმად დამტკიცდა. მეორე მოსმენით, ასევე ერთხმად დამტკიცდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ კანონის პროექტიც, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

სხდომაზე განიხილეს და ცნობად მიიღეს უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების ანგარიშები 01.09.2021წ. - 31.12.2022 წ. პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტები ესწრებოდნენ.

რას ნიშნავს DRG-ის დაფინანსების მოდელი?

2

გზა სულოდან - ზალცბურგის უნივერსიტეტამდე

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რას ნიშნავს DRG-ის დაფინანსების მოდელი?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

24-26 მაისს, აჭარის საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა და სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნული კომიტეტის წევრებს სამინისტროს 2023 წლის პროგრამების შესახებ ინფორმაცია გააცნო.

სამუშაო შეხვედრების მეორე დღე აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს, სსიპ დასაქმების სააგენტოს 2023 წლის პროგრამების მიმდინარეობის განხილვას დაეთმო. სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ კახიძემ ასევე ისაუბრა აღნიშნული მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე და დაგეგმილ ინიციატივებზე, ყურადღება გაამახვილა ახალ პროგრამაზე, რომელიც შშმ პირთა გადამზადებას და დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობს.

- 2021 წელთან შედარებით 2022-2023 წლებში ვაკანსიების რაოდენობა 10 %-მდეა გაზრდილი, ხოლო სამუშაო ადგილები - დაახლოებით, 16 %-ით. დასაქმების მაჩვენებელი გაზრდილია, დაახლოებით 19%-ით. მოთხოვნის შესაბამისად, ასევე ფართოვდება სააგენტოს პროგრამები და მათი დაფინანსება. მიმდინარე წელს დაემატა ორი ახალი პროგრამა: დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით და ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება - თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება, - აღნიშნა თეიმურაზ კახიძემ.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომის ბოლო დღე დიაგნოზთან შეჭიდებული ჯგუფების (DRG) დაფინანსების მოდელს შეეხო.

- გლობალურ რეფორმას, რომლის მიზანია, კლინიკებმა მოქალაქეებს ხარისხიანი მომსახურება გაუწიონ და ფასიც ადეკვატური, სამართლიანი იყოს, ძალიან მოკლე ვადებში ვახორციელებთ. ვაპირებთ, მთლიანად DRG სისტემაში მოექცეს ჰოსპიტალური სექტორი და აქეთკენაა მიმართული ჩვენი ძალისხმევა. შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს. ყველაზე დიდი მონაპოვარი, რაც DRG-ის დაფინანსების მოდელმა მოგვცა, არის ის, რომ გაიზარდა ხარჯთეფექტიანობა და შემცირდა თანაგადახდების წილი, რომელიც ჩვენს მოსახლეობას ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან მძიმედ აწვა.

გასული წლის ნოემბრის შემდეგ 500 მილიონი ლარის დაფინანსება არის უკვე ამ მოდელით. მთავარი მიზანი - ხარჯთეფექტურობა და კლინიკების თანაბარ პირობებში ჩაყენება, მიღწეულია. შემცირებულია უკონტროლო თანაგადახდა და ზოგადად, დაწყებულია თანაგადახდის საკითხის მოწესრიგება. სამინისტრო მუდმივად კომუნიკაციის რეჟიმში იქნება კლინიკებთან და ერთობლივი თანამშრომლობით მივიღებთ საბოლოო შედეგს, - აღნიშნა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურმა.

აჭარის ჯანდაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძის განმარტებით, დაფინანსების ამ მოდელის ამოქმედების შემდგომ, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით, კარდიო და ონკოქირურგების, ასევე, პირველი დონის ინტენსიური თერაპიის სამედიცინო მომსახურება ადგილობრივი მოსახლეობისთვის სრულად იფარება.

შეხვედრაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გაწეული საქმიანობისთვის საქართველოს პარლამენტმა აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო მადლობის სიგელით დააჯილდოვა. ნინო ნიჟარაძეს სიგელი პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ლომინაძემ გადასცა. რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გაწეული საქმიანობისთვის საქართველოს პარლამენტის მადლობის სიგელით ასევე დაჯილდოვდა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე.

- აჭარის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის კოორდინირებული მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინტეგრირებულ ქმედებებს მეტი შედეგი მოაქვს. მსგავსი ღონისძიებები გვეხმარება ეფექტური გადაწყვეტილებები მივიღოთ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით, - აღნიშნა ილია ვერძაძემ.

მთა ღომაზე მისასვლელი გზა გაიწმინდა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

წაბლანის, მოფრინეთის, სამოლეთის, ლაკლაკეთის, ცინარეთის მოსახლეობა ზაფხულობით პირუტყვს აჭარა-შავშეთის ქედის ერთ განშტოებაზე - მთა ღომაზე მირეკავს. ამ მთის კლიმატი, გეოგრაფიული მდებარეობა, ზღვისპირეთთან სიახლოვე, სამთო-გამაჯანსაღებელი კურორტის მნიშვნელობასაც იძენს. დაწყებულია ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა.

უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორები, ამ მთის სიკეთით მოსარგებლე მოსახლეობა, ყველაზე მეტ მნიშვნელობას საავტომობილო გზის მოწესრიგებას ანიჭებენ.

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ წაბლანა-ღომას 7-კილომეტრიან საავტომობილო გზაზე სამუშაოები უკვე დაიწყო. საწყის ეტაპზე გზა თოვლისა და ზამთრის ნარჩენებისგან გაიწმინდა. ამ პროცესს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერისა და საკრებულოს სხვა ხელმძღვანელები, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

- ივნისის პირველი დღეებიდან მეცხოველე ფერმერები ამ მთასაც აახმიანებენ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ. - თოვლმა, წყალმოვარდნებმა გზის ცალკეული მონაკვეთები დააზიანა, გასაკეთებელია სანიაღვრე არხები. მათი მოწესრიგების შემდეგ, რიგ მონაკვეთებზე ბეტონის საფარიც დაიგება. ეს მთა მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 20, ხოლო ზღვისპირეთიდან 84 კილომეტრითაა მოშორებული. სხვა მთებისგან განსხვავებით, აქ თოვლი ადრე მოდის და გვიან დნება, რაც ტურისტების მოსაზიდად საუკეთესო პირობაა. მალე სტადიონისა და ღია სივრცის მოწყობა დასრულდება.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - სხალთაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების როლი გამორჩეულია. მადლიერი ერი, ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები მათ ღვაწლს ახალ-ახალი შენაძენებით, უცხოეთის არქივებში მოპოვებული დოკუმენტური მასალებით ამდიდრებენ.

მათ შორის არიან ემერიტუსი პროფესორი სერგო დუმბაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ოლეგ ჯიბაშვილი, თამაზ ფუტკარაძე, ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბარამიძე. ოთხივე მათგანი საინტერესო მოხსენებებით წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე, სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმში, მისი დაბადების 195 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის დასკვნით დღეს გაიმართა. მისი ორგანიზატორები იყვნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის დეპარტამენტი, «აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება», სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექცია.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მუზეუმის დირექტორი იზოლდა სურმანიძე.

«ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან სელიმ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით», - ასეთი იყო პროფესორ ოლეგ ჯიბაშვილის მოხსენების თემა.

საზოგადოებისთვის სელიმისა და შერიფის ღვაწლი მეტ-ნაკლებად ცნობილია, მაგრამ ძალიან მწირია ცნობები ახმედ ხიმშიაშვილის შესახებ, რომელმაც თავისი წვლილი გაიღო აჭარის ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლებაში. დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს ირაკლი ბარამიძის მოხსენება: «ახმედ ხიმშიაშვილის ღვაწლი აჭარის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში».

მოხსენებამ: «შერიფ ხიმშიაშვილის დამსახურება ოსმალთა ბატონობისგან აჭარის «გამოხსნა-გათავისუფლებასა და დედასამშობლოსთან დაბრუნებაში» წაიკითხა პროფესორმა თამაზ ფუტკარაძემ.

ასევე საინტერესო იყო ემერიტუსი პროფესორის სერგო დუმბაძის მოხსენება: «ხიხანის ციხე-ქალაქი და სხალთის ხეობის სოფლები აბუსერისძე ტბელის შემოქმედებაში».

სხალთის საჯარო სკოლის დირექტორმა თემურ შაინიძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ავთანდილ მახარაძემ, იური აბულაძემ, ნარგიზ დეკანაძემ, ირმა შავაძემ, წაბლანის საჯარო სკოლის დირექტორმა გულნარა შაინიძემ, ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ჯამბულ შაინიძემ თავისი მოსაზრებები გამოთქვეს მოხსენებებთან დაკავშირებით და ორგანიზატორებს სთხოვეს ანალოგიური კონფერენციების ცალკეულ სოფლებსა და სკოლებში გამართვა.

- ღონისძიება საინტერესო და შინაარსიანი იყო. მომხსენებლებმა ცალკეულ პიროვნებებზე, მოვლენებზე საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი მასალები წარმოადგინეს. ასეთ ღონისძიებებს ჩვენგან მხარდაჭერა ყოველთვის ექნება, - თქვა ვახტანგ ბერიძემ.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

საქართველოს სტარტაპ სამიტი და სტარტაპების მსოფლიო თასის ეროვნული შეჯიბრება დაიწყო. ღონისძიებასთან დაკავშირებით კონფერენცია მიმდინარეობს, რომლის მთავარი საკითხი საერთაშორისო ბაზარზე გასვლა და საკუთარი ბიზნესიდეების გაფართოებაა. სტარტაპების მსოფლიო თასი სტარტაპერებისთვის მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური შეჯიბრებაა, რომლის საპრიზო ფონდი მილიონ დოლარს შეადგენს. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, მსოფლიოს მასშტაბით 50-ზე მეტი რეგიონული შეჯიბრება იმართება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში, ასევე - საქართველოში. 27 მაისს ბათუმში ჩატარდა ეროვნული შეჯიბრება რჩეულ ქართულ სტარტაპებს შორის. გამარჯვებული ფინალურ ღონისძიებაზე სან-ფრანცისკოში გაემგზავრება და ბრძოლას მთავარი პრიზის მოსაპოვებლად გააგრძელებს.

ღონისძიების მიზანია საქართველოში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა, რაც უკავშირდება ბათუმის მერიის განზრახვას ქალაქში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების თაობაზე, რომელზეც მუშაობა გასულ წელს დაიწყო ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (EU-UNDP) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში.

* * *

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდამჭერი სერვისების ინტერაქციული გამოფენა გაიმართა. სასტუმრო „რედისონში“ გამართულ გამოფენას, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკ-ჯორჯიასა“ და „ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის“ მიერ იყო ორგანიზებული, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე ესწრებოდა. როგორც შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო 25 სახეობის დამხმარე საშუალებას გასცემს, როგორებიცაა: მექანიკური, პედიატრიული და ელექტროეტლები, სმენის აპარატი, ფუნქციური საწოლი, კოხრეალური იმპლანტის პროცესორი, ხმის წარმომქმნელი აპარატი, პაციენტის სამედიცინო ამწე და სხვა. ყოველწლიურად პროგრამით 1 000-მდე მოქალაქე სარგებლობს. გამოფენაზე ერთ სივრცეში წარმოდგენილი იყო სოციალური, ჯანდაცვის, განათლების, დასაქმებისა და სხვა სფეროებში არსებული შშმ პირთათვის მხარდამჭერი სერვისები და სერვისების პრეზენტაციები. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა გავრცელებული სერვისების გაცნობა საჭიროების შემთხვევაში ინფორმირებული არჩევანის გაკეთების მიზნით.

* * *

ქართველი და უკრაინელი ჯარისკაცების დასახმარებლად ბათუმსა და თბილისში ერთდროულად საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა. შეგროვილი თანხა ქართულ ლეგიონს და აზოვსტალის მებრძოლებს მოხმარდება. აუქციონზე წარდგენილ ლოტებს შორის იყო ვახტანგ კიკაბიძის ხელმოწერით ღვინის ბოთლი პირადი კოლექციიდან, ასევე მაისური „ოკეან ელზის“ ლიდერის სვიატოსლავ ვაკარჩუკის ხელმოწერით, აგრეთვე წიგნი „მარიუპოლის თვალები“ აზოვის მეთაურთა ხელმოწერით. სხვა ლოტებთან ერთად წარმოდგენილი იყო ქართული ლეგიონის ერთადერთი საფოსტო მარკა საქართველოში. ჯამში 40 ლოტი წარმოადგინეს ორგანიზატორებმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

26 მაისი – აჭარაში

ბათუმი
ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მოესწრებით იმ დღეს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება, მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის ბრძოლას შეწყვეტთ, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენცა და ქვეყანაც“ - მერაბ კოსტავას ეს სიტყვები ზეპირად უნდა ახსოვდეს თითოეულ ქართველს, ბოლომდე გააზრებული უნდა გვქონდეს, რომ რაც ბრძოლითა და სისხლით მოვიპოვეთ, გაფრთხილება, მუდმივი სიფხიზლე სჭირდება.

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს, რა გზა გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ დღემდე. ეს თარიღი უმნიშვნელოვანესია თითოეული ქართველისათვის, რაც ძალიან კარგად იგრძნობოდა ბათუმის ქუჩებში, განსაკუთრებით კი ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული, ერთიანი საზეიმო ღონისძიების ფარგლებში, მოქალაქეებს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა. საზეიმო ღონისძიებას, რომელზეც სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მიერ მოწყობილი საგამოფენო და საინფორმაციო სტენდები, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეცტექნიკა, აღჭურვილობა და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი იყო წარმოდგენილი, არაერთი ქართველი და უცხოელი დამთვალიერებელი ჰყავდა. იმავე სივრცეში ბავშვებისთვის ჩატარდა თემატური საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობები, მოეწყო გასართობი სივრცეები. განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავი იყვნენ პატარები, რომლებიც დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ სპეცტექნიკას, ჯარისკაცებთან, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებთან იღებდნენ ფოტოებს, ინტერესით აკვირდებოდნენ ყველაფერს და უამრავ კითხვას სვამდნენ, თან საქართველოს დროშას აფრიალებდნენ.

დამოუკიდებლობის დღე სხვადასხვა სადღესასწაულო, შემეცნებითი და კულტურულ-გასართობი ღონისძიებებით აღინიშნა აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში, რომელსაც, საზოგადოებასთან ერთად, აჭარის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები დაესწრნენ. ბათუმში გამართულ ღონისძიებებს დაესწრო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე და უწყების სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები. ამ დღეს ტრადიციულად რეკრუტებმა სამხედრო ფიცი დადეს როგორც დედაქალაქში, ისე სხვა ათ ქალაქში, მათ შორის - ბათუმში.

საზეიმო აქტივობების პარალელურად გაიმართა აქცია-მსვლელობა სახელწოდებით „საქართველო ერთი“, რომლის მონაწილეებმაც საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით ბათუმის ცენტრალური პარკიდან მსვლელობით „ევროპის მოედანზე“ გადაინაცვლეს და ამით პროტესტი გამოხატეს საქართველოს მთავრობის მისამართით, რადგან 26 მაისის ღონისძიებებში ევროკავშირის დროშა არ ფიგურირებდა, სამაგიეროდ, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს აივნიდან ერთად იყო გამოფენილი საქართველოს და ევროკავშირის დროშები, ნიშანი იმისა, რომ საქართველოს ნათელი მომავლისკენ გზა მხოლოდ ევროპაზე გადის.

ბათუმში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გალა კონცერტით დასრულდა, რომელზეც ადგილობრივმა მომღერლებმა პატრიოტული სულისკვეთების სიმღერები შეასრულეს და კიდევ უფრო აამაღლეს განწყობა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ისედაც იგრძნობოდა მთელი ქალაქისა და, ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით.

იხ. მე-7 გვ.

უცხოეთი

რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა და იგი ხელახლა აირჩიეს თურქეთის პრეზიდენტად. არჩევნების შედეგები ოფიციალურად გამოცხადდა, რომლის თანახმად ერდოღანმა ხმების 52,14% დააგროვა. მეორე ტურში 14 მაისის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები - მოქმედი პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი და ოპოზიციონერი ქემალ ქილიჩდაროღლუ მონაწილეობდნენ.

* * *

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც რეგიონებში, სადაც საომარი მდგომარეობა მოქმედებს, არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარების საშუალებას იძლევა, - ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, აღნიშნულ რეგიონებში არჩევნების დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ცესკო თავდაცვის სამინისტროსთან და უშიშროების ფედერალურ სამსახურთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებს. „საკანონმდებლო ცვლილებები რუსეთის ახალ რეგიონებში სექტემბერში კენჭისყრის ჩატარებას და იქ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებას შესაძლებელს გახდის“, - წერს რუსული მედია.

* * *

ჩრდილოეთ კორეის სამთავრობო მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ოფიციალურმა ფხენიანმა სამხედრო საჯაშუშო თანამგზავრზე მუშაობა დაასრულა და მას 31 მაისიდან 11 ივნისამდე გაუშვებენ. კორეელი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ თანამგზავრი სათვალთვალო ტექნოლოგიური პროგრამის ნაწილია, რომელიც მიზნად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას ისახავს. ჩრდილოეთ კორეის მიერ თანამგზავრის გაშვებასთან დაკავშირებით იაპონიამ ბალისტიკური რაკეტები მზადყოფნაში მოიყვანა. იაპონიის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ისინი მზად არიან, ჩამოაგდონ ნებისმიერი ჭურვი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნის. ამასთან, ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ნებისმიერი რაკეტის გაშვება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების სერიოზული დარღვევა იქნება.

* * *

ჩინეთის საექსპედიციო გემი ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში, რომლებიც ქვეყნის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონას წარმოადგენს, გაფრთხილების გარეშე შეიჭრა. ხომალდს მცირე ზომის ხუთი გემი ახლდა. ვიეტნამის ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ჩინეთის ქმედებები შემაშფოთებელი და საყურადღებოა. ცნობისთვის: უკვე რამდენიმე წელია, ოფიციალური პეკინი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში რესურსებით მდიდარ წყლებზე პრეტენზიას აცხადებს. აღნიშნული ტერიტორიები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე ქვეყნის აკვატორიას ეკუთვნის.

* * *

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პეკა ჰაავისტოს განცხადებით, ეუთო განადგურების წინაშეა. პირველმა დიპლომატმა მიზეზად რუსეთი და ბელარუსი დაასახელა. ეუთოს თავმჯდომარეობა როტაციის პრინციპით ხდება. წესების მიხედვით, ახალ თავმჯდომარეს ორგანიზაციის 57-ვე წევრი ქვეყანა ამტკიცებს, თუმცა რუსეთსა და ბელარუსს არ სურთ, დაამტკიცონ ესტონეთის თავმჯდომარეობა 2024 წელს.

მოამზადა
ია ფფელიძემ

„უთქმელ სიტყვებსა და გამოუხატავ ემოციებს ვნანობ“...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

თაიელ თოდუამ ინტერნეტსივრცეში გამოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება, როგორც განსაკუთრებული პოეტური სულის ადამიანმა. მისმა ლექსებმა მკითხველებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა, შეაქეს, გზა დაულოცეს ცნობილმა პოეტებმა. ნიჭიერი პოეტი, უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული სულია, - ამ აზრს მრავალი იზიარებს და თაიელის ლექსებიც ამ ჭეშმარიტებას ადასტურებს. იგი თავისი ფართო თვალსაწიერითაც იპყრობს ყურადღებას. მოაზროვნე, ინტელექტუალური, ერუდირებული ახალგაზრდის სულიერი პორტრეტი უთუოდ მიგიზიდავთ და დაგაინტერესებთ, როცა მის ამ ინტერვიუს გაეცნობით. გვესაუბრება ***თაიელ თოდუა***

- ვინ არის თაიელ თოდუა, როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს?

- წლების წინ, ამ კითხვაზე, ალბათ, ათასნაირად ვუპასუხებდი... დროთა განმავლობაში, სხვადასხვაგვარად აღვიქვამდი საკუთარ თავს. ახლა ვფიქრობ, რომ თაიელ თოდუა ერთი უბრალო ადამიანია, რომელსაც მხოლოდ ლექსები აქვს ბრალიანი. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ადამიანური სისუსტეებით. ბევრი რამ არ გამოვიდა ისე, როგორც მინდოდა. ჰოდა, ვიჯექი და ვწერდი. სულ იმას ვცდილობდი, ყველაფერი ისე გამეკეთებინა, რომ წლების მერე არ მენანა, თუმცა მაინც ბევრ რამეს ვნანობ.

- ჩრდილში ყოფნა გიყვართ, ეს თავმდაბლობაა თუ ძიების პროცესში ხართ და ლამობთ საკუთარი თავი ღრმად შეიცნოთ?

- გარკვეულწილად, ერთიც და მეორეც. ძიების პროცესი კი, სავარაუდოდ, არც არასდროს დამთავრდება ან თუ დამთავრდება ეს იქნება ჩემი ბოლო. ალბათ ღმერთმა ჩაიფიქრა ასე, ამიტომაც ვართ ადამიანები ყველაზე რთული არსებები. ეს ძალიან მომწონს, რადგან სხვაგვარად წერაც არ იქნებოდა საინტერესო. უმეტესაც სიჩუმეს ვირჩევ, ვფიქრობ, შეცდომების დაშვების მეშინია. მეშინია ვინმეს არ ვაწყენინო, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჩემი სიჩუმე ხდება წყენის მიზეზი. ამიტომაც, ყველაზე ხშირად უთქმელ სიტყვებსა და გამოუხატავ ემოციებს ვნანობ. ამიტომაც ვწერ.

- საინტერესოა თქვენი გვერდი ფეისბუქზე, დროდადრო ცნობილი პოეტების ლექსებს გვთავაზობთ...

- ვაქვეყნებ იმას, რაც იმ კონკრეტულ მომენტში ჩემს შინაგან მდგომარეობას გამოხატავს. ვცდილობ, ნებისმიერი ლექსი იყოს საინტერესო, რათა მკითხველსაც მოეწონოს. თუ ლექსი არაფრის მომცემია და მისი წაკითხვის შემდეგ მკითხველი ოდნავ მაინც არ დაფიქრდება, სჯობს, არც გამოქვეყნდეს. ლექსს უნდა მოჰქონდეს ემოცია და უნდა იკითხებოდეს მინიმუმ ორნაირად, რათა მკითხველიც და გადამკითხველიც კმაყოფილი დარჩეს. ლექსს, მინიმუმ, ერთი რაღაც მაინც უნდა ჰქონდეს, რაც მკითხველს დაამახსოვრდება, დააფიქრებს, უკეთესს გახდის.

- როცა თქვენს ლექსებს აქვეყნებთ და იწონებენ, როგორ რეაგირებთ ამაზე?

- ეს ფაქტი მახარებს, მაგრამ ის უფრო მეტად, როცა ჩემს სათქმელს ზუსტად წვდებიან. სამწუხაროდ, ხშირია გადამკითხველი, ლექსი მათთვისაც უნდა იწერებოდეს, მაგრამ როცა ნამდვილი მკითხველი შენს ლექსს სწორად აფასებს, წვდება მის შინაარს - ძალიან ბედნიერი ვარ და მაშინ ვხვდები, რომ წერა უნდა გავაგრძელო. იყო პერიოდი, როცა კრიტიკის მეშინოდა, მაგრამ ახლა მინდა, რომ ჯანსაღი კრიტიკა მოვისმინო... ამიტომაც, ზოგჯერ ისეთ ლექსებსაც ვაქვეყნებ, რომლებიც კრიტიკას იმსახურებენ. თუმცა, კრიტიკა მაინც არ ჩანს და ეს არ მომწონს. არ შეიძლება ყველაფერი მოგწონდეს, ყველაფერი კარგი იყოს. ერთი პერიოდი წერაც მივატოვე, რადგან საკუთარ თავს ძალიან კრიტიკულად ვუდგებოდი. თითქმის არაფერი მომწონდა, რასაც ვწერდი. მერე ასეთი რამდენიმე ლექსიც გამოვაქვეყნე და ხალხს ძალიან მოეწონა, მაშინ უფრო მივხვდი, რომ ასე არ შეიძლება. პოეტი ვერ გაიზრდება, თუ მის ყველა ლექსს საქებარი სიტყვებით შეამკობენ. იგივე დარჩება, რაც იყო. მხოლოდ მე არ ვწერ, ძალიან ბევრი წერს, არიან ისეთებიც, რომლებიც გაუკრიტიკებლობის გამო, ვერასდროს გახდებიან ნორმალური პოეტებიც კი... საკუთარი ლექსების გამორჩევა არ მიყვარს, ვერც გამოვარჩევ. მაქვს ცუდი ლექსები, მაგრამ რაც მომწონს, მომწონს და იმათში არჩევანს ვერ ვაკეთებ, ყველას თავისი ისტორია აქვს და თუ ამ ისტორიის გარდა, რაიმე ღირებულებაც გააჩნია, მით უმეტეს...

* * *

ხომ იცი, ძვირფასო, სამიწე ვარ,
დრო არის ძალიან მრისხანე.
რაც იყო - ნელ-ნელა მავიწყდება,
რაც არა - თანდათან ვიხსენებ.
ძვირფასო, სევდები
მრავლდებიან,
სევდები ნაყოფებს ისხამენ.
გულში მაქვს მე ჩემი პანდემია,
ამქვეყნად ყველაზე მრისხანე.
წავალ და ლექსებიც არ
დამრჩება,
ამ ლექსებს ვინმე სხვა მიიწერს.
მიწია უღმერთო განაჩენმა
და მაინც ღმერთისკენ მივიწევ.
ჩემი სამოთხიდან გამაძევეს,
როცა გავაგრძელე ოცნება.
წავალ და სიცოცხლეს
გავაგრძელებ,
წავალ და სიკვდილი მორჩება.

- თავად ჩვენშია ოკეანე, ჩვენი შესაძლებლობები უსაზღვროა. ამის გასაცნობიერებლად და წარმატებისთვის თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები...

- ნუ დაისახავ პატარა მიზნებს. ნაბიჯები უნდა იყოს პატარა და არა მიზნები. მთავარია, არ გაჩერდე და აკეთო შენი მაქსიმუმი. ნებისმიერი რამე და ნებისმიერი ვინმე შეიძლება გამოდგეს მასწავლებლად. თუ რამე არ გამომდიოდა, ვუყურებდი იმას, ვისაც ეს გამოუვიდა. ხშირად ჩემზე ბევრად პატარასთანაც მივსულვარ კითხვით - ამას როგორ აკეთებ? შეიძლება რაღაც არ გამოგივიდეს, მაგრამ მთავარია არ დანებდე. მიყვარს ეს ფრაზა „გამარჯვებული ის არის, ვინც დამარცხდა და კიდევ ერთხელ სცადა“, კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ და... ბოლოს ყველაფერი გამოვა, თუ არ გამოვა, ისიც არ იქნება პრობლემა, საკუთარ თავთან მართალი მაინც იქნები, რადგან შენ ის გააკეთე, რაც შეგეძლო. ჩემთვის მთავარია საკუთარ თავთან ვიყო მართალი, სხვანაირად ვერ ვიძინებ (ხშირად არც მიძინია ამის გამო).

- დილით, როცა გეღვიძებათ და ბუნებას გასცქერით...

- მადლობელი ვარ. მადლობას ვუხდი ღმერთს იმისთვის, რომ კიდევ ერთი შანსი მომცა ჩემი შეცდომების გამოსწორებისთვის, რამე კარგის გაკეთებისთვის, ვიღაცის გახარებისთვის, ახალი შეცდომებისთვის, რომელსაც გამოცდილებად ვაქცევ (თუ შეცდომამ არაფერი გასწავლა, მაშინ აზრი აღარ აქვს ცხოვრებას. რაღაცას არასწორად აკეთებ).

- სიტყვები, რომლებსაც საკუთარი თავის კოდად აღიქვამთ...

- ესეც გაივლის. მადლობა ღმერთს იმისთვის, რომ საკუთარი ცოდვების გამოსყიდვის შესაძლებლობას დედამიწაზევე მაძლევს.

- ბუნების ყველაზე დიდი სასწაული, რომელიც გაფიქრებთ...

- ძალიან ბევრია ასეთი. მაგრამ ყველაზე დიდი სასწაული მაინც ადამიანი მგონია.

- ქართველებმა, ჩვენი იდენტობის შესანარჩუნებლად, უპირველესად რაზე უნდა ვიზრუნოთ?

- ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ძალიან ბევრი სიახლეა. ამ სიახლეების გადახარშვა ვერ ხერხდება, ძალიან დიდი მოცულობის არის და დაფიქრების გარეშე მორგება გვიწევს. ვერ ვიაზრებთ, გვჭირდება თუ არა ეს, რამე ზიანის მომტანია თუ არა ჩვენთვის. ჩვენი იდენტობის შესანარჩუნებლად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ახალგაზრდა თაობამ სწორად მიიღოს განათლება. პირველ რიგში, საჭიროსა და უსარგებლოს გარჩევა უნდა ისწავლონ. ამისთვის კი აუცილებელია იმან ასწავლოს, ვინც ეს იცის... ჩვენი იდენტობის გადარჩენის გზა ანს სწყუროდეს ეს. შემდეგ კი უნდა დაჯდე და საკუთარი თავის შესწავლას შეუდგე. შეიძლება ათასობით წიგნი წაიკითხო, რამდენიმე უნივერსიტეტი დაამთავრო, მაგრამ თუ საკუთარი თავის შეცნობა არ დაგიწყია, ჩათვალე, არაფრისთვის გისწავლია. უნდა იცოდე, რატომ აკეთებ იმას, რასაც აკეთებ. რა გიბიძგებს ამისკენ. სად მთავრდება ცხოველი და იწყება ადამიანი.

- წიგნები, რომელთაც უბრუნდებით და რატომ?

- ასეთი ძალიან ბევრი წიგნია, მადლობა ღმერთს. თუ წიგნის თავიდან წაკითხვის სურვილი არ გიჩნდება, ის წიგნი შორს არის სრულყოფილებისგან. თავიდან იმიტომ ვუბრუნდებოდი, რომ მენატრებოდა ის ემოცია, რაც ამა თუ იმ წიგნის პირველად წაკითხვის დროს დამეუფლა. მერე მივხვდი, რომ ის ემოცია უნიკალურია. მეორედ იგივეს განცდა პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. ახლა კი წიგნებს იმიტომ ვუბრუნდები, რომ ვეძებ რაღაც ახალს, რაც პირველი წაკითხვის დროს გამომრჩა. ძირითადად, ძალიან ბევრი სიახლე მხვდება, რადგან ისეთ ნიუანსებს ვაკვირდები, რომელზეც პირველად წაკითხვის დროს არ გამამახვილებია ყურადღება.

- ხელოვნური ინტელექტი თანდათან მკვიდრდება. ციფრულ რეალობაში თავს როგორ გრძნობთ?

- ეს გარდაუვალი მოვლენაა. ძალიან მალე რადიკალურად შეიცვლება ყველაფერი და ვინც მხარს არ აუბამს, ის უბრალოდ, დაიკარგება. ჩვენი, ადამიანების ერთ-ერთი მთავარი უნარი ადაპტაციაა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამასაც შევეჩვევით. ხელოვნურ ინტელექტს ვერ ექნება ემპათიის უნარი და იქნებ ამან მაინც უშველოს კაცობრიობას, იქნებ ამის შემდეგ მაინც უფრო გავუგოთ ერთმანეთს...

- თქვენი უმთავრესი სათქმელი, რომელსაც მომავალში გაახმიანებთ.

- მნიშვნელოვანია არა ის, თუ რას გავაკეთებთ, არამედ ის, თუ რატომ გავაკეთებთ (მნიშვნელოვანია ის, თუ რას ვიგრძნობთ ჩვენ და რას იგრძნობენ ის ადამიანები, რომლისთვისაც ამას გავაკეთებთ). ხშირად გაუაზრებლად გაკეთებული სიკეთეც არ მომწონს. ყველაფერს თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს და შედეგი მეტ-ნაკლებად წინასწარვე პროგნოზირებადი უნდა იყოს. ყველაფერს წინასწარ ვერ გავთვლით, მაგრამ ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რატომ გვსურს ამის გაკეთება და რატომ არის საჭირო ეს.

> **„ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ძალიან ბევრი სიახლეა. ამ სიახლეების გადახარშვა ვერ ხერხდება, ძალიან დიდი მოცულობის არის და დაფიქრების გარეშე მორგება გვიწევს. ვერ ვიაზრებთ, გვჭირდება თუ არა ეს, რამე ზიანის მომტანია თუ არა ჩვენთვის. ჩვენი იდენტობის შესანარჩუნებლად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ახალგაზრდა თაობამ სწორად მიიღოს განათლება. პირველ რიგში, საჭიროსა და უსარგებლოს გარჩევა უნდა ისწავლონ**

ბათუმი ტურისტული სეზონისთვის მზადაა

ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანის თქმით, ბათუმი მიმდინარე წელს საერთაშორისო სპორტული, ტურისტული და კულტურული ღონისძიებების ცენტრად იქცევა

„ტურისტული სეზონი გვიახლოვდება! გასული წლის მსგავსად, ბათუმი წელსაც დატვირთულ სეზონს ელოდება. აჭარის მთავრობის ჩართულობით, რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ მზადება ტურისტული სეზონისთვის.

ბათუმის ყოველდღიური ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ტურიზმთან. ამიტომ, ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ, პირველ რიგში, ბათუმის მოსახლეობა უნდა დააკმაყოფილოს. მუნიციპალური სამსახურების კოორდინირებული მუშაობითა და ჩართულობით, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ შევქმნათ შესაბამისი პირობები ვიზიტორების მოსაზიდად.

აღსანიშნავია, რომ წელს ბათუმში საინტერესო ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები არის დაგეგმილი, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მეტი ვიზიტორის მოზიდვას. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმი 2023 წელს საერთაშორისო სპორტული, ტურისტული და კულტურული ღონისძიებების ცენტრად იქცევა. ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სამუშაო შეხვედრა გავმართეთ, რომელზეც ზაფხულის სეზონის სამზადისთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე ვიმსჯელეთ. მუნიციპალური სამსახურები საგანგებო რეჟიმში იმუშავებენ. ბოტანიკურ ბაღში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. ეწყობა ახალი სივრცეები. განახლდა და დაემატა 8 ერთეული ახალი ტექნიკა, ხოლო აგვისტოში კიდევ 3 ახალი ელექტრომობილის შეძენა განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ სრულად განახლებულია ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკი თანამედროვე სტანდარტის ადაპტირებული ავტობუსებით. ტურისტული სეზონისთვის მზადება ასევე აქტიურად მიმდინარეობს ბათუმის დელფინარიუმშიც“, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

ამირან გურიელიძე

გზა ხულოდან - ზალცბურგის უნივერსიტეტამდე

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ამერიკის წყნარი ოკეანიდან აზიის წყნარ ოკეანემდე მოვლილი ევროპის, აფრიკის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 40 ქვეყანა, მათი კულტურა, ხალხი და, რაც მთავარია, თავგადასავლები დაუვიწყარია ჩვენი დღევანდელი სტუმრისთვის - იგი ზალცბურგის პარის ლოდრონის უნივერსიტეტის მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ***გიორგი შავაძეა*** *- გამოუსწორებელი ოპტიმისტი, რომელიც სიახლეებს არ უშინდება და არ თვლის, რომ რაღაც არ გამოუვა. გარემო პირობებს მარტივად ეგუება და ყოველთვის ცდილობს, რომ მაქსიმალურად მიიღოს სიკეთე ნებისმიერი სიტუაციიდან. მისთვის მთავარია ბალანსი, ჰარმონია და სიყვარული...*



- თქვენი ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობებისადმი რამ განაპირობა და, ზოგადად, უნივერსიტეტში ჩაბარებამ რა შესაძლებლობები მოგცათ?

- უნივერსიტეტში ჩაბარებამ შესაძლებლობების ახალი კარი გააღო, სანაცნობო წრე გაიზარდა და მთელი რიგი საკითხების გადახალისება მომიხდა. შესაძლებლობებში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ გაცვლით პროგრამებს, რომლითაც ვისარგებლე. ერთი წლის განმავლობაში ერასმუს+ გაცვლითი პროგრამით ვსწავლობდი ზალცბურგის უნივერსიტეტში. გადავწყვიტე, სამაგისტრო პროგრამისთვისაც აღნიშნულ უნივერსიტეტში დავბრუნებულიყავი. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, მაინტერესებდა, როგორ მიიღება გადაწყვეტილება პოლიტიკურ ეშელონებში, რა უძღვის წინ, ვინ მონაწილეობს მოლაპარაკებებში და რა განაპირობებს გარკვეულ შედეგებს. მინდოდა გავცნობოდი ევროპულ ურთიერთობებს, გამეგო, როგორ ხდება ევროკავშირის მართვა, ქვეყნებს შორის კოორდინაცია...

- გზა, რომელიც ხულოდან ზალცბურგის უნივერსიტეტამდე გაიარეთ...

- საინტერესო, ბარიერებით სავსე, მაგრამ ამაღელვებელი... პირველი კლასი სოფელში დავასრულე, მეორე კლასიდან კი ოჯახმა ქალაქში გადასვლა გადაწყვიტა. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის დასრულების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უნივერსიტეტში ჩავაბარე. ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის შესახებ გაგვიზიარეს ინფორმაცია და ერთ-ერთი არჩევანი ავსტრია - ზალცბურგის უნივერსიტეტი იყო. მანამდე ავსტრიაში ნამყოფი ვიყავი და ამ ინფორმაციამ ძალიან გამახარა. შერჩევის პროცესი და კონკურსი ასეთია - აბარებ ინგლისურის გამცდას, გამგზავნი უნივერსიტეტის სპეციალურ კომისიასთან უნდა გაიარო გასაუბრება, ებმები კონკურსში, კომისია გადაწყვეტს, რამდენი სტუდენტის მონაცემები გადააგზავნოს მიმღებ უნივერსიტეტში, რომელიც, საბოლოოდ, იღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობაზე განაცხადი 2018 წელს შევიტანე. ნოემბერში ჩაინიშნა ინგლისურის გამოცდა, 71 ქულა იყო გამსვლელი, გამოცდა კომპიუტერით ბარდება და ხელოვნური ინტელექტი გამოცდის დასრულებისთანავე გიწერს პასუხებს. 69 ქულა ავიღე... სულ რაღაც 2 ქულა დამაკლდა შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. მეგონა, კარგად ვიცოდი ინგლისური, აღმოჩნდა, რომ - არა. არ დავნებდი და ცოდნის გაუმჯობესებაზე ფიქრი დავიწყე. ამ დროს გამოჩნდა ამერიკაში სტუდენტური გაცვლითი პროგრამა, რომელიც გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ პროგრამა 4 თვემდე ამერიკაში ცხოვრებას გულისხმობდა. დავიწყე მუშაობა, რომ მასში მონაწილეობის საფასური დამეგროვებინა და ამერიკაში წავსულიყავი. ერთმა ვერმიღწეულმა შედეგმა უკეთესი გარემოება შემიქმნა, ვიზა მივიღე და ამერიკაში გავემგზავრე, სადაც შესანიშნავი დრო გავატარე და ინგლისურიც გაცილებით გავაუმჯობესე. ალბათ, ის ორი ქულა რომ არ დამკლებოდა, ამერიკაზე ფიქრს არც დავიწყებდი. იქიდან ჩამოსულმა 2019 წლის ნოემბერში ხელახლა მივიღე მონაწილეობა კონკურსში, ინგლისურის ტესტი ჩავაბარე, გავიარე ყველა ეტაპი და მიმღებ უნივერსიტეტში შემარჩიეს მე, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ გერმანულ ენაზეც ვსაუბრობდი. აღნიშნულის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარებაც მომიწია. ამრიგად, 2020 წლის თებერვლიდან ერთი წლის განმავლობაში ვიყავი ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის სტიპენდიატი. გარდა საუნივერსიტეტო საქმიანობისა, დაკავებული ვარ სპორტითა და მოგზაურობით.

> **„** *დავიწყე მუშაობა, რომ მასში მონაწილეობის საფასური დამეგროვებინა და ამერიკაში წავსულიყავი. ერთმა ვერმიღწეულმა შედეგმა უკეთესი გარემოება შემიქმნა, ვიზა მივიღე და ამერიკაში გავემგზავრე, სადაც შესანიშნავი დრო გავატარე და ინგლისურიც გაცილებით გავაუმჯობესე. ალბათ, ის ორი ქულა რომ არ დამკლებოდა, ამერიკაზე ფიქრს არც დავიწყებდი*

- სპორტის რომელ სახეობას მისდევთ?

- „ბერძნულ-რომაული“ ჭიდაობას, ხულოელი ბავშვისთვის ეს სპორტის საუკეთესო სახეობაა. ჩემ შემთხვევაში, ოჯახური ტრადიციაა ჭიდაობა - ოჯახის ყველა მამაკაცი ამ სპორტით იყო/არის დაკავებული და მეც, ცხადია, ამ გზას მივყვები. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალურ სპორტს დიდი ხანია ჩამოვშორდი და თავად აღარ ვასპარეზობ, მწვრთნელის რანგში ვაგრძელებ მოღვაწეობას და ავსტრიაში ორ საჭიდაო კლუბში ვმუშაობ.

- კიდევ რა სფეროები გაინტერესებთ?

- ბევრი რამ, იმდენად ბევრი, რომ დროის უკმარისობას განვიცდი. უკანასკნელ პერიოდში დაინტერესებული ვარ წყალქვეშა სამყაროთი. ბოლო მოგზაურობისას მქონდა შესაძლებლობა, ვეშაპისებრ ზვიგენთან ერთად მეცურა ღია ზღვაში... საოცარი შეგრძნება იყო. ბუნების შესანიშნავ ქმნილებასთან ერთად, რომელიც ავტობუსისხელაა და 13 ტონამდე იწონის, ვცურავდი დონსოლის წყლებში. სრულიად გამიქარწყლდა კინოფილმებით ჩანერგილი ზვიგენების შიში, სადაც ისინი დაუნდობელ მტაცებლებად არიან წარმოჩენილები. მართლაც, საოცარი ქმნილებები არიან, ოთხ მათგანთან მომიწია შეხვედრა და მიუხედავად მათი სიდიდისა, (იმედია) არცერთ მათგანს გულში ჩემი შეეშა არ გაუვლია. სხვისი მშობლები იმას დარდობენ, მათი შვილები რაიმე ცუდზე დამოკიდებულნი არ გახდნენ, ჩემი მშობლები კი იმაზე, რომ ეს ვასწრებდი ადგომას, რომ ძროხის მოწველის პროცესისთვის მეყურებინა და შემდეგ საძოვარზე წამეყვანა. მიყვარს მემთეურები, სხვანაირად ტკბილი ხალხია, „ყველჭიპაი“ და „რძეში ჩაფშნილი ჭადი“ არ ენანებოდათ, ალბათ, უფრო - ამიტომ. ისე კი, რამხელა შრომა აწევთ კისერზე და მაინც როგორი ენერგიულები არიან. ალბათ, მთა არის მათი ენერგიის წყარო.

- როგორი ბავშვობა გქონდათ?

- შესანიშნავი, სოფელში ვისწავლე ველოსიპედის ტარება, წრეში ბურთი და ჯოხბილაი მიყვარდა. მერე სათამაშო კომპიუტერმა მოგვისწრო და „მარიოს“ ვთამაშობდი. სკოლის პირველ დღეს ასეთი ლექსი წავიკითხე: „მეკითხებიან, ვისი შვილი ხარ, ყველა ოჯახის ვარ ანგელოზი, გაინტერესებთ, ვისი შვილი ვარ? ჩემი ლამაზი საქართველოსი!“. დღემდე მახსოვს, დედაჩემმა მასწავლა, ავტორი არ ვიცი და, როცა მეკითხებიან, ვისი შვილი ვარ, ეს ლექსი „შემომეკითხება“.

- წარუმატებლობა, რომელმაც წარმატებული გაგხადათ?

- ადრეულ ასაკში ტრავმების გამო მომიხდა ჭიდაობისთვის თავის დანებება. მაშინ გადავწყვიტე - ნებისმიერ საქმიანობაში მაქსიმუმს გავაკეთებდი წარმატების მისაღწევად. არ ვთვლი, რომ წარმატების მწვერვალებს ვეთამაშები, საწყისი ეტაპისთვის კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეტია საჭირო!

- საზოგადოებამ პირველად თქვენი ლექსებით გაგიცნოთ... ლექსებს აჭარულ დიალექტზე კიდევ წერთ?

- დიდი ხანია ლექსებს აღარ ვწერ, მაგრამ მიხარია, ხალხს კიდევ რომ ახსოვს ჩემი სამოყვარულო ლექსები. ალბათ ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის ეტაპი, როცა ლექსები უნდა წეროს.

- პიროვნებად თქვენს ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდი გავლენა რამ ან ვინ მოახდინა?

- გარდა ოჯახის წევრებისა, დიდი როლი ითამაშა ევროპაში პირველმა მოგზაურობამ. 2017 წელს ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ვიმოგზაურე გერმანულენოვან ქვეყნებში - გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიასა და ლიხტენშტეინში და საკუთარი თვალით ვნახე ევროპის სიკეთეები. მაშინ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ხალხი იქ უდარდელად ცხოვრობდა, შეეძლოთ ემოგზაურათ და აღმოეჩინათ სხვა კულტურები, დამტკბარიყვნენ მთებით, სანაპიროებით, არ ედარდათ მაცივრის შევსებაზე, ბავშვების ჯანდაცვასა თუ განათლებაზე. ცხადია, მას შემდეგ, როცა მეც უკვე ევროპაში გადმოვედი საცხოვრებლად, ბევრი რამ უკეთ გავაცნობიერე და მივხვდი, რომ აქ ხალხი ძალიან ბევრს შრომობს უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად.

- საუბარში აღნიშნეთ, რომ ერასმუს+ გაცვლით პროგრამის სტიპენდიატი იყავით. ამ სტიპენდიის დანაზოგით ყველაზე მნიშვნელოვანი რა გაგიკეთებიათ?

- მცირე საოჯახო ბიზნესი წამოვიწყე და ბათუმში „ჰოსტელ კალიფორნია“ გავხსენი, რომელიც დასვენების მსურველებს ბიუჯეტურ ღამის გასათევს სთავაზობს.

- რა გეგმები გაქვთ და სად ხედავთ თქვენს თავს საქართველოში დაბრუნების შემდეგ?

- ალბათ ისევ ბიზნესსა და მოგზაურობას დავუკავშირებ მომავალს. ახლა ამაზე ბევრს არ ვფიქრობ.

- მიზანი...

- მინდა ისეთი ცხოვრება მქონდეს, რომ შვილიშვილებისთვის მოსაყოლად ღირდეს.

- რას გვეტყვით თქვენს მოგზაურობებზე, სადაც ყოველთვის საქართველოს დროშით დადიხართ?

- უკვე ორმოც ქვეყანას ვეწვიე, ბევრგან ადგილობრივივით ვიცხოვრე - ვიკვებებოდი იქ, სადაც ადგილობრივები, ვიცვამდი, ვერთობოდი ისე, როგორც ადგილობრივები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიო შესანიშნავია. ირგვლივ საოცარი ხალხი ცხოვრობს, არსებობს შთამბეჭდავი კულტურისა და დიდი ისტორიის მქონე ქვეყნები. ჯერჯერობით ოთხი კონტინენტის ქვეყნებში ვიმოგზაურე, ყველა მათგანი ძალიან განსხვავებული და უნიკალურია. მქონდა პატივი, მენახა სან ფრანცისკოს „Golden Gate Bridge“, მექსიკის „Ci Cen ica“, პარიზის ეიფელის კოშკი, ფილიპინების მაიონის ვულკანი, ემირატების შეიხ ზაიდის მეჩეთი, სინგაპურის მარინა ბეი... ინტერაქცია მქონდა პითონისებრ ალდაბრას 150 წლის კუსთან, მაკაკასთან, ვეშაპისებრ ზვიგენთან, სტინგ რეისთან... მოგზაურობისას საკუთარი ქვეყნის ელჩი ვარ და ყოველი შესაძლებლობისას ახალგაცნობილ ხალხს ვუყვები საქართველოსა და მის უნიკალურ სილამაზეზე. მახსოვს, როგორ გაოცდა ფილიპინელი ბაბუა, რომელსაც ვუთხარი, რომ საქართველოში არ გვქონდა მანგო და ანანასი, სამაგიეროდ, ვაშლი გვაქვს ბევრი.

- ცხოვრებასა და არსებობას შორის სხვაობა...

- ცხოვრებაა, თუკი შენი მოქმედებით სხვას აბედნიერებ, ამ უნარის არარსებობის შემთხვევაში კი უბრალოდ, არსებობ.

- რას ნიშნავს თქვენთვის ბედნიერება და რა არის ამისთვის საჭირო?

- ბედნიერებაა, გქონდეს უნარი და შესაძლებლობა, აღმოაჩინო მსოფლიო და სხვასაც დაეხმარო ამაში.

რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენა მოახდენს თუ არა გავლენას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფებებზე?

ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ საქართველოს ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილთან შეხვედრის შემდეგ, რომელსაც დემარში გადასცა, ჟურნალისტებს განუცხადა:

„სწორია, რომ ეს იყო რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილება, რომ აღედგინა ფრენები საქართველოსთან, მაგრამ ეს აგრეთვე მოითხოვდა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასთან, ამიტომაც დამავალეს, გადმომეცა გზავნილი, რომელიც შეთანხმებულია 27 წევრ სახელმწიფოსთან, რომ ჩვენ ვწუხვართ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რომ დათანხმდეს პირდაპირ ფრენების აღდგენას რუსეთსა და საქართველოს შორის.

ქართულმა მხარემ, ვიცე-პრემიერმა მოგვახსენა არგუმენტები, რომლებიც ჩვენ უკვე მოვისმინეთ, რომ საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, არც სანქცირებული ავიახაზები და არც თვითმფრინავები, რომლებიც დასავლეთშია წარმოებული, არ გამოიყენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას უფრო დიდი პოლიტიკური არსი აკლია. მსურს შეგახსენოთ, რომ ევროკავშირმა კოლექტიურად გადაწყვიტა, რომ აკრძალოს ყველა ფრენა რუსეთიდან და რუსეთში - ყველა სახის, ევროკავშირის ტერიტორიაზე ფრენა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი 27-ვე წევრი ქვეყნის და სხვა პარტნიორი ქვეყნების იმ მიზნით, რომ ზეწოლა მოვახდინოთ რუსეთზე და შევცვალოთ რუსეთის ქცევა უკრაინის მიმართ.

ახლა მე არ ვფლობ ინფორმაციას ევროკავშირში რაიმე დისკუსიებზე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სანქციებთან დაკავშირებით.

ცხადია, ეს განვითარება არ არის პოზიტიური რამ ჩვენი გადმოსახედიდან, მაგრამ ევროკავშირის 27 სახელმწიფოს გადასაწყვეტია განსაჯოს როგორ და თუ მოახდენს ეს გავლენას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფებებზე“.

ამირან გურიელიძე

ადგილი, სადაც ბევრი სითბო და სიყვარულია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*გაგაცნობთ არაჩვეულებრივ პედაგოგს, საბავშვო ბაგა-ბაღი სტუდია „მერი პოპინსის“ დამფუძნებელ **გუგული ღოღობერიძეს**. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ სასწავლო პროგრამა სწავლების თანამედროვე მეთოდებზეა დაფუძნებული და არაერთი განმავითარებელი აქტივობა ტარდება. ბაღში მიიღებიან 1 წლიდან 6 წლის ჩათვლით აღსაზრდელები, ისწავლება ინგლისური, რუსული, სახალისო მათემატიკა, ჭადრაკი, მუსიკა. კვირაში ორჯერ, შაბათ-კვირას ტარდება ბავშვებისთვის ყველაზე საყვარელი - აკადემიური ხატვის გაკვეთილები. „მერი პოპინსში“ დაგხვდებათ უსაფრთხო გარემო, მზრუნველი და მოსიყვარულე პერსონალი და ყველა პირობა იმისთვის, რომ თქვენმა პატარებმა დრო შინაარსიანად გაატარონ. მშობელს კი დღის განმავლობაში ონლაინ რეჟიმში შეუძლია თვალყური ადევნოს შვილს.*

ქალბატონ გუგულის ხატვის გაკვეთილზე ვესტუმრეთ. ის სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

- მოგვიყევით თქვენზე...

- ბათუმის სამხატვრო სასწავლებელი კერამიკის განხრით დავამთავრე, თუმცა ამ მიმართულებით არ წავსულვარ. წლების შემდეგ, სკოლაში ხელოვნების მასწავლებლის ადგილი გამოჩნდა და მუშაობა დაიწყე. მგონი, საკმაოდ კარგად გავართვი თავი. მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი სკოლა იყო და ამ საქმიანობას სიამოვნებით გავყევი. პარალელურად შშმ ბავშვებთან სარეაბილიტაციო ცენტრ „თანაში“ ერგოთერაპევტად ვმუშაობდი. ვთვლი, რომ იქ მისვლა იყო ჩემი ძალიან დიდი გამარჯვება - დავინახე, რომ სხვადასხვა დიაგნოზის მქონე ბავშვებს თურმე რა დიდი შესაძლებლობები ჰქონიათ, რაც თავადაც არ იცოდნენ. ეს უნარები მათში მიძინებული იყო... მადლობელი ვარ პირველ რიგში ჩემი მშობლების, რომლებმაც სწორი მიმართულება მომცეს ცხოვრებაში და უფლის, რომ ამ ბავშვების გახსნის და ამ მხრივ საკუთარი თავის გამოცდის შესაძლებლობა მომცა. ვმუშაობდი ტიპურ ბავშვებთანაც, შშმ პირებთანაც და მივხვდი, რომ შეუძლებელი არაფერია. „თანაში“ 10 წელი ვიმუშავე, ძალიან გამიჭირდა იქიდან წამოსვლა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ცვლილების შეტანა გადავწყვიტე და მეგობარ ირმა კაპანაძესთან ერთად სულ პატარების აღზრდას შევეჭიდე. დავაფუძნეთ კერძო ბაგა-ბაღი „მერი პოპინსი“ და დღეს უკვე აქ ვართ. პარალელურად, ისევ დავუბრუნდი სკოლას და მე-4 საჯარო სკოლაში ვასწავლი. ასევე, რადგან პედაგოგის დიპლომი არ მქონდა, უნივერსიტეტში პედაგოგიურზე ჩავაბარე. ასე რომ, სტუდენტიც გახლავართ. მოკლედ, სრული დატვირთვით ვმუშაობ. შვილები მეუბნებიან, შენ ჩვენი ინსპირაციის წყარო ხარო. რა ვქნა, ვერ ვჩერდები, ყოველთვის რაღაცას ვაკეთებ. უქმად ჯდომაც არ შემიძლია, ხან ვკერავ, ხან სხვადასხვა აქსესუარს ვაკეთებ, ასევე, სააღდგომო, საშობაო ხელნაკეთ ნივთებს...

- „არტ ფაბრიკაზე“ გვიამბეთ.

- ადრე სხვა სტუდია გვქონდა, თუმცა პანდემია დაგვემთხვა და ჩავიკეტეთ. იმ დროს ჩვენზე სიუჟეტი გაკეთდა და ადამიანებს, რომლებიც სახლში გამოკეტილი დარჩნენ, სხვადასხვა რჩევა-რეკომენდაცია, მივეცი, სულიერი იზოლაციიდან რომ გამოსულიყვნენ. დახიეთ, დაკუწეთ, დააწებეთ, ითამაშეთ, დაჩხაპნეთ-მეთქი... მას შემდეგ წამოვიდა მოთხოვნა, შეგვექმნა სტუდია. შაბათ-კვირაობით, ბაღში გვაქვს „არტ ფაბრიკა“, სადაც ბავშვებს ხატვას ვასწავლით, ასე ვთქვათ, პატარებს სულიერ საზრდოს ვაძლევთ, რაც დღეს აუცილებელია. მე არავის ფუნქციებში ვიჭრები, არც აღზრდა-განათლებას ვასწავლი ვინმეს, მაგრამ დღეს, ტექნოლოგიების ეპოქაში, მეორეხარისხოვანი გახდა შემოქმედებითი პროცესები. ახლანდელ თაობას ნამდვილად სჭირდება ისეთი ატმოსფერო, რაც ჩვენთან არის. როცა ბავშვმა იცის, რა არის მშვენიერი, მისგან აგრესია აღარ წამოვა.

- ხატვის სტუდიაში მიღება რომელი ასაკიდან გაქვთ და რამდენი მოსწავლე გყავთ?

- 5 წლიდან 11 წლის ასაკამდე ბავშვებს ვღებულობთ. კვირაში ორჯერ, შაბათ-კვირას, თავიანთი წინსაფრებითა და საღებავებით სიხარულით მოდიან პატარები. ამჯერად 11 ბავშვი გვყავს. ჩვენთან არანაირი შეზღუდვა არ არის, შშმ ბავშვებსაც ვღებულობთ, მთავარია, მოტორული უნარი ცოტათი მაინც ჰქონდეთ განვითარებული. ახლაც მყავს პატარა გოგონა, რომელიც სიბერსახოცის ნაჭერი ისე დავახვიე, რომ მისი ხელისგულის ზომამდე მიმეყვანა, რათა კარგად ჩასჭიდებოდა. ისეთი ბედნიერი იყო... მისი ფურცელი ხატვისას იხეოდა, მაგრამ ისიც შევუცვალე - თაბაშირ-მუყაოს მაგიდა გავუკეთე, რომელსაც ვეღარ აზიანებდა. ძალიან უხაროდა ხატვა... თუ რაიმე შეიძლება ადამიანმა ადამიანისთვის გააკეთოს, ძალები ამისთვის ნამდვილად არ უნდა დაიშუროს.

- რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვებთან ურთიერთობისას?

- ყველაზე მნიშვნელოვანია სითბო, პოზიტივი, ენერგია... მეც ძალიან ბევრს ვსწავლობ ბავშვებისგან, სუფთა სამყაროს ვსწავლობ, იქ არ არის შური, ბოროტება. ყველაფერი გამჭვირვალეა, რაც ყველაზე მეტად ღირებულია ჩემთვის.

- თქვენი აზრით, რა მიაქვს ბავშვს აქედან სახლში?

- სიყვარული. აქედან წასვლა არ უნდათ, ყოველთვის მეკითხებიან, რამდენი დარჩა გაკვეთილის დასრულებამდე, ბუზღუნებენ, მშობლები ადრე თუ აკითხავთ. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ერთმანეთისთვის დაეცინოთ - ეს რა დახატე, რა უშნოა და ა.შ. ისინი თავიდანვე გავაფრთხილე: ეს ბავშვი ასე ხედავს, ამას ასე შეუძლია...

- გამოფენებს თუ აწყობთ?

- წინა სტუდიაში გამოფენა-გაყიდვა მოვაწყვეთ. შემოსული თანხით ყველა ის ნივთი შევიძინეთ, რომელიც გვჭირდებოდა. ძალიან ბედნიერები იყვნენ ბავშვები. ახლაც ვფიქრობთ, წლის შემაჯამებელი გამოფენა მოვაწყოთ, მშობლები მოვიწვიოთ და მათი შვილების ნამუშევრები გავაცნოთ.

- ხელნაკეთი ნივთების დამზადებასაც ასწავლით?

- დიახ, საახალწლოდ ძალიან კარგი აქსესუარები გავაკეთეთ. უნივერსიტეტში მიგვიწვიეს და იქ მასტერკლასი ჩავატარეთ. სტუდენტები და სოციალურად დაუცველი ბავშვები გვესწრებოდნენ. ჩემი რამდენიმე მოსწავლეც წავიყვანე. სააღდგომოდაც ძალიან საინტერესო აქსესუარები შევქმენით. მოკლედ, „ვჩხირკედელაობთ“ რასაც ქვია.

- ამ სფეროში რომ არ ყოფილიყავით, რა პროფესიის იქნებოდით?

- იმდენად ვერ წარმომიდგენია სხვა სფეროში საკუთარი თავი, ალბათ, ისევ მასწავლებელი და მხატვარი ვიქნებოდი. მიყვარს ხატვა, პანდემიის დროს შემომიტია ხატვის სურვილმა, ჩემი შვილიც ხატავს. დედა-შვილი ვიჯექით და ვხატავდით.

- რომელ მიმდინარეობას მიაკუთვნებთ თქვენს ნახატებს?

- ირეალური სტილი მიყვარს ძალიან, ყველაფერში რაღაცის დანახვა, ცარიელი სივრცეების რაღაც ფიგურებით შევსება.

- რა გეგმები გაქვთ?

- ძალიან გვინდა, ბაღი გავაძლიეროთ, თუმცა, სამწუხაროდ, კერძო სტრუქტურა არ არის ხელდასმული... ამჟამად ბაღში 3 ჯგუფი გვყავს, მაგრამ ბავშვებია ცოტა. აკრედიტაციას გვთხოვენ, ამ პირობებით კი აკრედიტაციას ვერ გავივლით. სტანდარტებს ვერ ვაკმაყოფილებთ, რადგან ხელშეწყობა არაფერში გვაქვს, მშობლის შემოტანილ თანხაზე ვართ დამოკიდებული, რაც ძალია რთულია. ცოტაოდენი ხელშეწყობა რომ გვქონდეს, ნამდვილად გავაკეთებდით ყველაფერს ისე, როგორც გვიფიქრია.

> ***„ერთი ბიჭუნა გვყავდა, რომელსაც ხელის მოტორიკა ძალიან სუსტი ჰქონდა, ფანქარზე ხელის მოკიდებას და ჩაჭიდებას ვერ ახერხებდა. მივხვდი, რომ მას განსაკუთრებული ინსტრუმენტი სჭირდებოდა. ფანქარზე პირსახოცის ნაჭერი ისე დავახვიე, რომ მისი ხელისგულის ზომამდე მიმეყვანა, რათა კარგად ჩასჭიდებოდა. ისეთი ბედნიერი იყო... მისი ფურცელი ხატვისას იხეოდა, მაგრამ ისიც შევუცვალე - თაბაშირ-მუყაოს მაგიდა გავუკეთე, რომელსაც ვეღარ აზიანებდა“***

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის ძალებმა კიევის თავზე 40-ზე მეტი საჰაერო სამიზნე გაანადგურეს, - ამ ინფორმაციას უკრაინული მედია კიევის საქალაქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ სერგეი პოპკოზე დაყრდნობით ავრცელებს. „წინასწარი ინფორმაციით, მტერმა Shahed-ები გამოიყენა. უპილოტო საფრენი აპარატებით თავდასხმასთან ერთად, მტრის TU-95MS-მა კასპიის რეგიონიდან ფრთოსანი რაკეტები გაუშვა, სავარაუდოდ, Kh-101/555 ტიპის. ჩვენმა საჰაერო თავდაცვის ძალებმა 40-ზე მეტი საჰაერო სამიზნე აღმოაჩინეს და გაანადგურეს. კიევზე თავდასხმა დაუშვებელია!“ - აღნიშნა პოპკომ. ამასთან, კიევის მერ ვიტალი კლიჩკოს ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად არავინ დაღუპულა ან დაშავებულა. შეგახსენებთ, მანამდე ცნობილი გახდა, რომ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე საჰაერო განგაში გამოცხადდა და ზოგიერთ ოლქსა და დედაქალაქში აფეთქებების ხმები ისმოდა.

* * *

ფრონტზე, წინა თვეებთან შედარებით, სიმშვიდეა. დღის განმავლობაში მტერმა მხოლოდ 19 შეტევა განახორციელა, მაგრამ შეტევების გეოგრაფია, გარკვეულწილად, შეიცვალა, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დილის ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, დიდი ხნის განმავლობაში პირველად, რუსები შეტევაზე გადავიდნენ შახტიორსკის მიმართულებით - ველიკა-ნოვოსელკას მიდამოებში, რომელიც უჰლედარის დასავლეთით მდებარეობს. „შეტევები გრძელდება კუპიანსკის მიმართულებით, რომელიც ბოლო დღეებში გაძლიერდა. იქ მტერი წარუმატებლად ცდილობდა წინსვლას მასიუტოვკას რაიონში“, - აცხადებენ გენშტაბში. უწყების ცნობით, ბახმუტის მიმართულება კვლავ ცხელ წერტილად რჩება, სადაც რუსული ძალები წარუმატებლად ცდილობდნენ წინსვლას ორეხოვო-ვასილევკას ჩრდილო-აღმოსავლეთით და ივანოვსკის მიმართულებით. რთული ვითარება იყო მარინკას ტერიტორიაზე, სადაც უკრაინელებმა მოწინააღმდეგის 12 შეტევა მოიგერიეს. „უჩვეულო სიმშვიდე იყო ავდიიივკას მიმართულებით. გუშინ, ერთ წელზე მეტი ხნის უწყვეტი ბრძოლის შემდეგ პირველად, მტერს ფრონტის ამ სექტორზე შეტევა არ განუხორციელებია. სიმშვიდე დაფიქსირდა ლიმანის მიმართულებითაც“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მეთაური ალექსანდრე სირსკი ლიმანის მიმართულებით უკრაინელი სამხედროების პოზიციებზე იმყოფებოდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. სირსკის განცხადებით, ის იმ ქვედანაყოფების მეთაურებს შეხვდა, რომლებიც ახლა ყველაზე ცხელ წერტილებში ასრულებენ დავალებებს. „ჩვენ ერთობლივად განვიხილეთ მოვლენების განვითარების შესაძლო სცენარები და ფრონტზე არსებული ვითარება. აღვნიშნე, რომ მალე მოვა დრო, როცა გადავალთ აქტიურ შეტევით მოქმედებებზე და განვსაზღვრეთ კონკრეტული ამოცანები მათთვის მოსამზადებლად“, - აღნიშნა სირსკიმ. ამასთან, მან ლიმანის მიმართულებით ის ტერიტორიები დაასახელა, სადაც უკრაინელები მტრის შეტევას იგერიებენ. „ჩვენი ქვედანაყოფები სტაბილურად აგრძელებენ დაკავებული საზღვრებისა და პოზიციების შენარჩუნებას, იგერიებენ მტრის ყველა მცდელობას, რომელიც მიმართულია ბელოგოროვკის, სპორნოეს, ნოვოსელოვკის, ტორსკის მიდამოებისკენ, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მტრის პერსონალს და აღჭურვილობას“, - აღნიშნა უკრაინის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მეთაურმა.

* * *

რუსული ძალები უკრაინის დედაქალაქ კიევს ბალისტიკური რაკეტებით დაესხნენ თავს, - განაცხადა უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების პრესსპიკერმა იური იგნატმა. „მტერმა ბალისტიკური რაკეტები გამოიყენა, წინასწარი ინფორმაციით - „ისკანდერები“. შესაძლოა, რომ S-300 და S-400 რაკეტებიც იყო გამოყენებული“, - ამბობს იგნატი. კიევის მერ ვიტალი კლიჩკოს განცხადებით, თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, ერთი ადამიანი დაშავდა. მისი ინფორმაციით, დედაქალაქის პოდილსკის რაიონში რაკეტების ნამსხვრევების შედეგად ორსართულიანი საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა, თუმცა ამ დროისთვის ის ლოკალიზებულია. კიევის საქალაქო-სამხედრო ადმინისტრაციის ინფორმაციით, დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში რაკეტების 6 ნამსხვრევი ჩამოვარდა.

* * *

დიდ ბრიტანეთში უკრაინელი სამხედროები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას სწავლობენ, კერძოდ, თავდაცვით ბრძოლაში მცირე იარაღის ჯგუფურად სროლას. ამ ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. „ეს სწავლება საშუალებას აძლევს სამხედროებს, დაეუფლონ საჭირო ტაქტიკურ უნარებს, გაზარდონ უკრაინის შეიარაღებული ძალების მოქმედებების უსაფრთხოება და პროფესიონალიზმი, რათა სამხედროებმა ოსტატურად გამოიყენონ შეძენილი ტაქტიკური ცოდნა უკრაინის დასაცავად“, - ნათქვამია განცხადებაში. წვრთნებს ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ინსტრუქტორები უკრაინის შეიარაღებული ძალების პერსონალის ძირითადი კომბინირებული შეიარაღების მომზადების პროგრამის, მრავალეროვნული სასწავლო ოპერაცია Interflex-ის ფარგლებში ატარებენ. უკრაინის შეიარაღებულ ძალებში აცხადებენ, რომ ამ წვრთნების მნიშვნელობა ფასდაუდებელია სუვერენული, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ბრძოლაში. უფრო ადრე უკრაინის გენერალურმა შტაბმა ბრიტანეთში ჩატარებული წვრთნების ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც უკრაინელი სამხედროები ტანკსაწინააღმდეგო სისტემა NLAW-ის გამოყენებას სწავლობენ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მე-3 გვერდიდან

მაღალმთიანეთი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედა

დღესასწაული დაბა ქედაში დამოუკიდებლობის სკვერში გაიხსნა. ღონისძიების მონაწილეებს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ ეროვნული დღესასწაული მიულოცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ქედის თვითმმართველობის წარმომადგენლები, ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები, ქედის ხანდაზმულთა კლუბის წევრები და მოწვეული სტუმრები. ამ რიტუალის შემდეგ, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის ყედირ შერვაშიძის ბიუსტი ყვავილებით შეამკეს. დროშებით მსვლელობა მოეწყო დამოუკიდებლობის სკვერიდან დაბა ქედის ცენტრის მიმართულებით. მსვლელობას მიუძღვებოდნენ ქედის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავეები.

დღესასწაულის მონაწილეებს სპორტული ღონისძიებებიც შესთავაზეს. აქტივობა ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ მიერ შესრულებული ცეკვა „ხორუმით“ გაიხსნა.

საზეიმო ღონისძიებები ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცენტრალურ პარკში გამართული დასკვნითი კონცერტით დასრულდა.

შუახევი

ფურტიოელმა და ბუთურაულელმა პედაგოგებმა, აღსაზრდელებმა ზეიმის მონაწილეებს მხატვრული პროგრამა შესთავაზეს. მათ ეროვნული დღესასწაული მიულოცა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძემ. ანალოგიური საზეიმო შეკრება 10-მდე სკოლასა და სოფელში გაიმართა.

სახელოვნებო და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის ახალ შენობაში მოწვეულ სტუმრებს, საზოგადოების წარმომადგენლებს ეროვნული დღესასწაული შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაბა შუახევის ცენტრში არსებული საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირების მემორიალი ყვავილებით შეამკეს. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი თემატური ფოტოგამოფენა მოეწყო. შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა, სახელოვნებო და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის ანსამბლებმა და გოგონათა ბენდმა „117“ სიმღერები და მუსიკალური ნომრები შეასრულეს.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები და თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ხულო

საზეიმოდ მორთულ დაბა ხულოს ქუჩებში საქართველოს დროშებითა და ტრანსპარანტებით სვლა ზეიმის მონაწილეებმა დღის 12 საათიდან დაიწყეს. ხულოს თეატრისა და ადმინისტრაციული შენობის წინამდებარე სკვერში დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. აქ გამოფენილი იყო ქარგვა-ქსოვის, ხეზე კვეთის ადგილობრივ ოსტატთა ნამუშევრები, ხულოელი მხატვრების ნახატები.

ხულოს კულტურის სახლთან, სახელოვნებო სკოლასთან არსებულმა ანსამბლებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მოზეიმეებს საინტერესო კონცერტი შესთავაზეს.

დამსწრე საზოგადოებას 26 მაისი მიულოცეს და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ.

საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც 5 წელია ღორჯომში მოქმედებს ბეჟან გორგაძის ხელმძღვანელობით, ფრიად საინტერესო წამოწყებას დაუდო სათავე: ამიერიდან ყოველი წლის 26 მაისს „საპატიო ღორჯომელებს“ დაასახელებენ. ამჯერად არჩევანი ხულოს მერ ვახტანგ ბერიძეზე, ქარგვა-ქსოვის ღორჯომელ ოსტატ მზევინარ ირემაძესა და მეკეიძეების საჯარო სკოლის პედაგოგ როლანდ შავაძეზე გააკეთეს.

სპორტი

წარმატებულ სპორტსმენებს შეხვდნენ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის სპორტსმენები სახელოვან ტრადიციებს აგრძელებენ. თითქმის ყოველდღე გვესმის მათი წარმატებების შესახებ, რასაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უყურადღებოდ არ ტოვებს. ამ დღეებში სამინისტროში ძალოსან რამინ შამილიშვილს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს ლაშა გობაძესა და ლერი აბულაძეს, თავისუფალი სტილით მოჭიდავე შოთა ფარტენაძეს სამინისტროში შეხვედრა მოუწყვეს.

მათ წარმატება მიულოცეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიჟარაძემ.

ძალოსანმა რამინ შამილიშვილმა ერევანში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ატაცში მან 109/111/113 კილოგრამს გაართვა თავი და ამ დისციპლინაში ჩემპიონობა დაისაკუთრა, ორჭიდში მოგროვებული 249 კილოგრამით ვერცხლი მოიპოვა, ხოლო აკვრაში 132-136 კილოგრამი დასძლია და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

მოჭიდავე ლერი აბულაძემ ევროპის ჩემპიონატზე ფინალში აზერბაიჯანელ ტალემ მამადოვს 5:1 სძლია და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

შოთა ფარტენაძემ ევროპის ჩემპიონატზე უკრაინელი ტარას მარკოვიჩი დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ასევე ბრინჯაო მოიპოვა ლაშა გობაძემაც აზერბაიჯანელ ისლამ აბასოვის დამარცხებით.

- დღეს სპორტსმენებს შევხვდით და წარმატება მივულოცეთ. სასიხარულოა ისიც, რომ ისინი უკვე გაზრდილ ჯილდოებს მიიღებენ - აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ერთჯერადი ჯილდოები გასამმაგდა. წელს ოლიმპიადის სალიცენზიო წელიწადია, ბიჭები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან და მათგან ლიცენზიებს ველოდებით. სასიხარულოა, რომ ჩაქვში მშენებარე ძალოსნობის სასახლე უკვე დასრულების სტადიაშია, ინვენტარის შეძენა მიმდინარეობს. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს, - გვითხრა ირმა ნიჟარაძემ.

„დიდაჭარობის თასი“ – შუახევის ქართული ჭიდაობის ნაკრებს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულომ „დიდაჭარობის თასზე“ აჭარის პირად-გუნდურ პირველობას ქართულ ჭიდაობაში მეხუთედ უმასპინძლა. შეჯიბრება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა, ხულოს კომპლექსურ სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარდა. ასპარეზობაში ქობულეთის, ბათუმის, ქედის, შუახევისა და ხულოს ნაკრები გუნდებიდან (2006-2008 წლებში დაბადებული) 45 ჭაბუკი ჩაერთო.

გულშემატკივრებს, სტუმრებს, სპორტსმენებს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მერის პირველი მოადგილე ნადიმ ვასაძე, ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი ავთანდილ აბულაძე.

აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის თანადგომისთვის, ქართული ჭიდაობის განვითარებაში, პოპულარიზაციასა და წინსვლაში შეტანილი წვლილისთვის ფედერაციის მადლობის სიგელით დაჯილდოვდა ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი ავთანდილ აბულაძე.

პირად-გუნდური პირველობა 8 წონით კატეგორიაში გაიმართა. 46 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი ბათუმელი ლაშა გაბედავა იყო, მეორე და მესამე ადგილები შუახეველებმა ბაჩუკი აბაშიძემ და მამუკა ტარიელაძემ დაიკავეს.

50 და 66-კილოგრამიან წონით კატეგორიაში პირველები იყვნენ შუახეველები - გიორგი ტაკიძე და ნიკოლოზ აბაშიძე. ბათუმელი ძმები აჩიკო და ალეკო სუხიტაშვილები კი მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ. ქობულეთელებმა ლუკა ხალვაშმა, ზურა ბერიძემ, ომარ აბაშიძემ 55, 60, 73 კგ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს. ომარ აბაშიძე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო.

81-კილოგრამიან წონით კატეგორიაში გამარჯვებული ქედელებსაც ჰყავთ და იგი ლუკა ნაკაშიძეა. ცალკეულ წონით კატეგორიებში საპრიზო ადგილები დაიკავეს შუახეველებმა ვაჟა მჟავანაძემ, საბა ხიმშიაშვილმა, ბაადურ ბოლქვაძემ, ლუკა შაინიძემ, გიორგი დიმიტრაძემ, ქობულეთელმა ლაშა აბაშიძემ, ხულოელებმა რაინდი ანანიძემ, საბა, ანრი სოლომონიძეებმა.

გუნდური პირველი ადგილი არავის დაუთმო შუახევის ქართული ჭიდაობის ნაკრებმა გუნდმა, მეორე ადგილზე - ქობულეთის, ხოლო მესამეზე ბათუმის ქართული ჭიდაობის ნაკრები გუნდები გავიდნენ.

კომპანია „ირე-პალასის“ დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის გამგეობის წევრმა გოჩა ირემაძემ საუკეთესო ტექნიკური შედეგების მქონე სპორტსმენისთვის ფულადი პრიზი დააწესა და იგი ხულოელ ფალავან საბა სოლომონიძეს გადაეცა.

გამარჯვებული სპორტსმენები აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მედლებით, სიგელებით და სპორტული მაისურებით დაჯილდოვდნენ, ხოლო გამარჯვებულ გუნდს ფედერაციის სპეციალური თასი გადაეცა.

შეჯიბრება აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

- „დიდაჭარობის თასი“ ფრიად საინტერესო წამოწყებაა, - გვითხრა ჯემალ წულუკიძემ. - წელს ასპარეზობა დამოუკიდებლობის დღეს ჩავატარეთ. ამიერიდან სულ ასე იქნება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეითი აჭარა და ადჟარია» პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 29/05/23, 21 ¹⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

რით იწვევს ეთერო ასეთ თანაგრძნობას? ანუ „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ – კანის კინოფესტივალზე

27 მაისს დასრულდა კანის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის ერთ-ერთ დამოუკიდებელ საკონკურსო სექციაში „15 კინემატოგრაფისტი“ ნაჩვენები იყო ქართული მხატვრული ფილმი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ (თამთა მელაშვილის იგივე სახელწოდების რომანის მიხედვით, რეჟისორი - ელენე ნავერიანი). მასში ქალის მთავარ - ეთეროს როლს ბათუმელი მსახიობი **ეკა ჩავლეიშვილი** ასრულებს (მამაკაცისას - თემიკო ჭიჭინაძე). მან სიტყვა შეასრულა და როგორც ამ ფაქტზე მომზადებულ წინა წერილში დაგვპირდა, პირველი გაზეთი, რომელსაც კანის კინოფესტივალიდან ჩამოსვლისთანავე ინტერვიუ მისცა, „აჭარაა“.

- ეკა, გილოცავ ამ წარმატებას, რომელმაც, მთელ საქართველოსთან ერთად, განსაკუთრებულად გაგვახარა შენი თანამოქალაქეები. აბა, როგორი ქალაქია კანი, როგორი მაყურებელი გყავდათ?

- კანი პატარა, კოხტა, სუფთა და ფერადი ქალაქია. მთაწმინდის და ბათუმის ნაჯვარს ჰგავს. კანის კინოფესტივალზე ჩვეულებრივი, რიგითი მაყურებელი ძალიან იშვიათია - კინოჩვენებებს, ძირითადად, პროდიუსერები, რეჟისორები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები, ფესტივალების დირექტორები და კინოინდუსტრიისთვის საჭირო სხვა ადამიანები ესწრებიან.

- ფესტივალზე ფილმს ალბათ ახალი თვალით უყურე. როგორც მაყურებელი, რას იტყოდი მასზე?

- ჩვენი ფილმის პრემიერა შედგა კანში, შესაბამისად, ყველამ პირველად ვნახეთ და, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ძალიან, ძალიან, ძალიან კარგი ფილმი.

- როგორი რეაქცია ჰქონდა აუდიტორიას?

- მითხრეს, ტაშის ხანგრძლივობითაც იზომება, ფილმი რამდენად მოეწონებათო. 10 წუთი მაქსიმუმი ყოფილა. ჩვენი ფილმი რომ დამთავრდა, სასწაული ოვაციები დაიწყო, ფეხზე წამომდგარი და თვალზე ცრემლმომდგარი მაყურებელი თითქმის 9 წუთს გვიკრავდა ტაშს.

- როგორ ფიქრობ, რით იწვევს ეს ფილმი მაყურებლის ასეთ ემოციებს?

- ფილმში 48 წლის ძლიერი ქალის ყოველდღიური რუტინა არის ნაჩვენები, რომელსაც სიყვარული დაეტაკება. იგი, მართლაც, იწვევს მაყურებლის გულწრფელ, ადამიანურ განცდებს და ეს გადამღები ჯგუფის თითოეული წევრის პროფესიონალიზმის, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და თავგანწირვის შედეგია.

- რა არის „შაშვი, შაშვი, მაყვალის“ ყველაზე დიდი ღირსება?

- ამ ფილმის ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ შელამაზების გარეშე, ძალიან გულწრფელად გვიყვება შუახნის ქალის ამბავს.

- რა იყო შენთვის ამ როლის შესრულებისას ყველაზე რთული?

- ბევრი სირთულე და დაბრკოლება გადავლახეთ ყველამ ერთად, ასევე, ბევრი სიხარულიც განვიცადეთ და, საბოლოოდ, ზუსტად ის შედეგი დავდეთ, რაშიც არავის გვეპარებოდა ეჭვი.

- რით არის ეთერო შენთვის ახლობელი?

- აუხდენელი ოცნებები, „ხალხი რას იტყვის“ შიშით გულში ჩაკლული სურვილები - ეს არის ეთერო და, რაღაც დოზით, ეთერო ყველა ქალშია.

- ეთერო მხოლოდ ქართველი ქალის სახეა თუ ნებისმიერი ერის ქალს შეუძლია მასში საკუთარი თავის დანახვა?

- არ არის მხოლოდ ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი სახე. ეთერო ყველგან ცხოვრობს.

- ეს ფილმი ამსხვრევს თუ არა სტერეოტიპებს?

- ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს დადგეს ის დრო, როცა ყველა ქვეყნის ეთეროები აღარ მიაქცევენ ყურადღებას საზოგადოებრივ აზრს, ისწავლიან საკუთარი თავის სიყვარულს და იცხოვრებენ ლაღად.

- რამდენიმე სიტყვა - გადამღებ ჯგუფზე...

- უძლიერესი გადამღები ჯგუფი გვყავდა, რომლის თითოეულ წევრს უდიდეს პატივს ვცემ.

- რა გამოცდილება შეგძინა მათთან ერთად მუშაობამ?

- რაც უფრო მეტს გიღებენ, მით უფრო ბევრს სწავლობ, უფრო იხვეწები და თავისუფლად გრძნობ თავს კამერის წინ, მით უმეტეს, როცა ასეთი პროფესიონალებისგანაა ჯგუფი დაკომპლექტებული. ცალკე ფილმი შეიძლება გადაიღო იმაზე, ერთი წლის განმავლობაში როგორ მამზადებდნენ ამ როლისთვის. ჩვენმა რეჟისორმა ელენე ნავერიანმა წიგნი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ წაიკითხა თუ არა, დამირეკა და მითხრა, დღესვე იყიდე თამთა მელაშვილის ეს რომანი, ეთერო უნდა ითამაშოო. ასე დაიწყო ჩვენი მოგზაურობა ჯადოსნურ სამყაროში. შემდეგ ელენემ და ნიკოლოზ მდივანმა ამ ნაწარმოების მიხედვით სცენარი დაწერეს. მაგ დროს მე 110 კილო ვიყავი და დიიდი ღიპიც მქონდა. ფილმის ქართველმა პროდიუსერმა ქეთი დანელიამ (რომელიც უაუძლიერესი პროფესიონალი და უსაყვარლესი ადამიანია) აიღო თავის თავზე ამ როლისთვის ჩემი მომზადება. პირველ რიგში, „ჰეარლაინში“ წარბები გადამინერგეს, რადგან მანამდე წარბზე პერმანენტი მქონდა გაკეთებული და მისი გადაფარვა გახდა საჭირო. შემდეგ ამიყვანეს ძალიან კარგი პროფესიონალი, პირადი მწვრთნელი ნინო კოჭლამაზაშვილი, რომელმაც, ტიტანური შრომის შედეგად, ვარჯიშებით სამ თვეში 20 კილო დამაკლებინა. რამდენიმე სცენაში ტიტლიკანა უნდა გამოვჩენილიყავი და, ვინაიდან ღიპი ვარჯიშით ვერ გავიქრე, გამიკეთდება აბდომინოპლასტიკა (ანუ მუცელი მომჭრეს და შორს მოისროლეს), რის შედეგად კიდევ 10 კილო მომაკლდა და, როგორც იქნა, ფორმაში ჩავდექი. დავბანაკდით წყალტუბოში და ელენემ (რომელიც უაღრესად ნიჭიერი ადამიანია), დაიწყო რეპეტიციები. ორი სხვადასხვა ქოუჩი გვყავდა მოწვეული, რომლებთანაც დეტალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ გავდიოდით თითოეულ სცენას. ყველამ ზედმიწევნით ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა. ერთი ამოსუნთქვით გადავიღეთ ფილმი და იმ დღეების ყველა წამი სიგიჟემდე მიყვარს.

მართალია, ელენე ნავერიანი კანის კინოფესტივალის ისტორიაში ვერ გახდა მეორე რეჟისორი ქალი ჯეინ კემპიონის (ფილმ „პიანინოს“ რეჟისორი) შემდეგ, რომელმაც ოქროს პალმის რტო დაიმსახურა, თუმცა მისი ფილმის ასეთი პრესტიჟულ კინოფესტივალის საკონკურსო სიაში მოხვედრა უკვე დიდი წარმატებაა და ვფიქრობთ, „შაშვი, შაშვი, მაყვალის“ სვლა წარმატებების აღმართზე მხოლოდ ახლა დაიწყო, მას ბევრჯერ ვიხილავთ სხვადასხვა მსოფლიო კინოფესტივალზე.

მარინა მითაიშვილი

აჭარის მოჭადრაკეებს ახალი სასახლე ექნებათ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმატებულ მოჭადრაკეებს - კესარია მგელაძეს, მარიამ ცეცხლაძეს, აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ სალომე მელიას შეხვდნენ. შეხვედრას მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე და დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახლახან დამთავრებულ ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე ორივე მოჭადრაკემ წარმატებით იასპარეზა.

კესარია მგელაძემ 13 წლამდე გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა, მარიამმა კი 15 წლამდე გოგონათა შორის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა.

სამინისტროში სპორტსმენებს წარმატება მიულოცეს და სიმბოლური სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

- დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა ახალგაზრდა მოჭადრაკეებთან, რომლებმაც ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვეს. საქართველოს ნაკრებმა ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე ჯამში ოთხი ოქრო, ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო დაისაკუთრა. აქედან ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი აჭარის წარმომადგენლების მონაგარია, რაც ძალიან გვახარებს. ამ ასაკში ასეთ ტურნირებში მონაწილეობა და თან შენი ქვეყნის ასე პოზიტიურად წარმოჩენა, მისი ავტორიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა ძალიან მნიშვნელოვანია. სასიხარულოა, რომ ამას ბავშვები აკეთებენ.

შეხვედრაზე შესაძლებლობა გვქონდა, გვესაუბრა როგორც მათ სურვილებზე, ისე ჩვენს გეგმებზე, მათ შორის მთავრობის გადაწყვეტილებაზე, ბათუმში ააშენოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი ჭადრაკის სასახლე, რომელსაც ორი საშეჯიბრო და რამდენიმე სავარჯიშო დარბაზი ექნება, ასევე - სასტუმრო, კვების ობიექტი, საკონფერენციო დარბაზი. მშენებლობა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება და, სავარაუდოდ, 2024 წლის ბოლოს დასრულდება. მჯერა, ეს გადაწყვეტილება ბავშვებს ჭადრაკის შესწავლის კიდევ უფრო მეტ მოტივაციას გაუჩენს, უფრო პოპულარულს გახდის, რაც მნიშვნელოვანია, რადგან ჭადრაკი სპორტის ის სახეობაა, რომელიც ბავშვებში განსაკუთრებით ავითარებს ლოგიკას, სწრაფ აზროვნებას, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოჭადრაკეებისთვის. რაც შეეხება სტიპენდიებს, მთავრობის ეს გადაწყვეტილება ვრცელდება ყველა ასაკის სპორტსმენზე, ძირითადად, ინდივიდუალურ სახეობებზე, თუ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე სპორტსმენები საპრიზო ადგილებს მოიპოვებენ, ისინი გახდებიან სტიპენდიატები, ისევე, როგორც მათი მწვრთნელები, - გვითხრა ბადრი ნაკაშიძემ.